სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

ამიერ-კავკასიის ფრონტის წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закфронта «Боец РККА» на грузинском языке

№ 58 (318) | ოთხშაბათი, 16 მაისი | 1945 წ.

მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის

გამარჯვების დღეს — 1945 წლის 9 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესებულ იქნა მედალი **„გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“.**

ასეთი მედლის დაწესების ფაქტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს სახელმწიფოებრივი აქტი ერთგვარი შეჯამებაა ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიადი ბრძოლის შედეგებისა.

საბჭოთა მეომრები, გერმანიაზე მოპოვებულ გამარჯვების მონაწილენი, ამიერიდან მკერდზე ატარებენ თავიანთი საყვარელი მარშლის სტალინის პროფილური წელზედა გამოხატულებას, როგორც ჩვენი ძლიერებისა და სიდიადის სიმბოლოს. მედლის ზედა ნაწილის წრეხაზზე სიტყვები — **„ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვეთ“** — მუდამ მოგვაგონებენ სამართლიანობის გამარჯვებას ფაშისტურ ბოროტებაზე.

ჩვენი ხალხი და არმია უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ მედალს გერმანიაზე გამარჯვებისათვის. იგი დაწესებულ იქნა დიდი ხნის ნანატრი გამარჯვების დღეს, როგორც მოლოცვა და მაღალი ჯილდო შრომისა და გმირობისათვის. ბრძოლებისა და ლაშქრობის დროს ჩვენ ვოცნებობდით იმ დიად დღეზე, როცა ამხანაგი სტალინი მოულოცავდა ხალხს და გერმანიაზე მოპოვებულ გამარჯვების აღსანიშნავად დაწესებული იქნებოდა მედალი. ეს საყოველთაო-სახალხო მედალია. იგი მტერთან ბრძოლით არის მოპოვებული. მეომრისათვის რა უნდა იყოს იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე ის, რომ თავის მკერდზე ატარებს საძულველ მტერზე ჩვენი გამარჯვების ნიშანი.

გაივლიან წლები, ჩვენი პროლობები მოშუშდებიან. მაგრამ მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის მუდამ მოგვაგონებს გიგანტურ ბრძოლას ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. და როცა დახედავთ მედალს, სტალინის საყვარელ სახეს, თითბრის ზედაპირზე ამოზნექილ პროფილს, სიამაყით მოვაგონდებათ მოსკოვის ბრძოლა, ალმოდებული სტალინგრადი, ქალაქ ლენინგრადის ბლოკადა, სევასტოპოლი, ბრძოლა დნეპრისათვის და ისტორიული ბრძოლა ბერლინისათვის.

დროთა ვითარებაში ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის ყოველთვის აღადგენს ჩვენს ხსოვნაში დაუვიწყარ დღეებს, და თქვენც ამხანაგების წრეში ან ახალგაზრდებს შორის სიამოვნებით მოიგონებთ განვლილ საბრძოლო გზას, მოიგონებთ და უამბობთ, თუ როგორ ებრძოდით, როგორ მოუპოვეთ გამარჯვება.

დიდება და პატივისცემა საბჭოთა ადამიანს, რომლის მკერდზე იქნება მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის! მებრძოლო, შენც მალე მიიღებ ამ ჯილდოს და სიამაყით ჩამოიკიდებ მას სხვა ორდენებისა და მედლების გვერდით. მაგრამ ამავე დროს არ დაივიწყო: ახალ ჯილდოს შენთვის მოაქვს არა მარტო დიდება და პატივისცემა, არამედ იგი გაკისრებს ახალ საპატიო მოვალეობასაც — სამაგალითო იყო სხვებისთვის. შენ დიდი სამამულო ომის მონაწილე ხარ, ბრძოლის ველზე სისხლი დაგიღვრია, — დიდება შენ. შენ თავდადებული მეშაობით უზრუნველყოფდი გამარჯვებას, — პატივისცემა შენ. მაგრამ არ უნდა იჯუჯღო. არ უნდა იფიქრო — „რაკი ომი დამთავრდა, ახლა შეიძლება გულზე ხელების დაკრეფა.“ ასეთი სიტყვები არ შეჰფერის საბჭოთა მეომარს, გამარჯვებულ მეომარს, რომლის მკერდს დაამშვენებს მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის.

დიახ, ევროპაში ომი ძლევამოსილად დამთავრდა, მაგრამ წინ ბევრი სამუშაო გვაქვს. და ვიდრე ხელში გიჭირავს შაშხანა, ვიდრე სამშობლომ თავისი ბედი მოგანდო, არ შეანელო სამხედრო სწავლა, პირიქით, აამაღლე შენი ცოდნა, სრულჰყავი იგი, შეითვისე სამამულო ომის მდიდარი გამოცდილება.

მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის გეუბნება: იყავი სამაგალითო მებრძოლი, განამტკიცე სამხედრო დისციპლინა და წესრიგი. ზუსტად და სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულე მეთაურის ბრძანებები. ჯერ ადრეა დამშვიდება. მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ მოგვიწოდებს არა დასვენებისაკენ, არა გულზე ხელების დაკრეფისაკენ, არამედ ახალ შემოქმედებითს შრომისაკენ სამშობლოსათვის, ახალი მხედრული სრულყოფისაკენ.

ჩვენ ვამაყობთ მოპოვებული გამარჯვებით. ჩვენ დამსახურებულ სიხარულს განვიცდით. ეს სიხარული აღნიშნულია მთავრობის კანონით მედლის დაწესების შესახებ. მაგრამ ჩვენს ხალხს არა სჩვევია ყოყოჩობა და ქედმაღლობა. ვემზადებით რა ისეთი მაღალი ჯილდოს მისაღებად, როგორიც არის მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის, ჩვენ, ისე, როგორც ომის დღეებში, მზად უნდა ვიყოთ შევასრულოთ ყოველგვარი ამოცანა, რომელიც კი დგას ჩვენი მშვიდობიან განვითარების გზაზე.

სსრ კავშირის ფინსახკომის ცნობა

ამა წლის 5 მაისს 25 მილიარდი მანეთის რაოდენობით გამოშვებული ომოთხე სახელმწიფო სამხედრო სესხი 8 დღის განმავლობაში გავრცელებულია 26 მილიარდ 384 მილიონ 685 ათასი მანეთის რაოდენობით — 1 მილიარდ 384 მილიონ 685 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ფინსახკომმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითების საფუძველზე, განკარგულება გასცა — 1945 წლის 14 მაისიდან ყველგან შესწყდეს სესხზე შემდგომი ხელმოწერა.

1945 წლის 18 მაისი.

ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება გამოცემულია ლატვიურ ენაზე

რიგა, 12 მაისი. (საქდესი). ლატვიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ლატვიურ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა ამხანაგ სტალინის 1945 წლის 1 მაისის ბრძანება.

მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში“

მოსკოვს დაბრუნდა ამხ. ვ. მ. მოლოტოვი

გუშინ, 14 მაისს, სან-ფრანცისკოდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი; იგი მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას გაერთიანებული ერების კონფერენციაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მოსამზადებლად.

ამავე დროს მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა დელეგაციის წევრი სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფი.

მათ შორის დაჯილდოებული არიან: **სუვოროვის II ხარისხის** ორდენით გვარდიის პოლკოვნიკი **ნიკოლოზ ივანეს-ძე კალაძე** და გენერალ-ლეიტენანტი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე; ბოგდან ხმელნიცკის II ხარისხის** ორდენით პოლკოვნიკი **იპოლიტე ავგუსტინეს-ძე მითაიშვილი.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
15 მაისის ოპერატიული ცნობა

ტყვედ გერმანელ ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიღება ყველა ფრონტზე დამთავრებულია.

მოსკოვში ქალბატონ კლ. ჩერჩილის ყოფნის გამო

„რუსეთის დახმარების ფონდის“ ბრიტანული კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა კ. ჩერჩილმა, რომელიც 5 მაისს მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირში მგზავრობიდან შემდეგ, და „რუსეთის დახმარების ფონდის“ კომიტეტის მდივანმა ქალბატონმა მ. ჯონსონმა ინახულეს ქალაქ მოსკოვის სვერდლოვის რაიონის № 175 სრული საშუალო სკოლა. ამ სკოლის დათვალიერების დროს რსფსრ რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა უამბო ქალბატონ კ. ჩერჩილსა და ქალბატონ მ. ჯონსონს, თუ როგორ არის დაყენებული სახალხო განათლება სსრ კავშირში. გარდა ამისა, სტუმრებმა დაათვალიერეს მოსკოვის მეტრო, ინახულეს სამშობიარო სახლი და პროფესორ პრიოროვის ჰოსპიტალი, აგრეთვე დაესწრნენ ბალეტის „ჟიზელისა“ და „გედების ტბის“ სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში.

11 მაისს ქალბატონი კ. ჩერჩილი და მისი თანმხლები პირები მოსკოვიდან ლონდონში გაფრინდნენ.

ცენტრალურ აეროდრომზე ქალბატონი კ. ჩერჩილი გააცილეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ა. ჯ. ვიშინსკიმ და მისმა მეუღლემ, პ. ს. ჟემჩუჟინა-მოლოტოვამ, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ა. კოლესნიკოვამ და მისმა მეუღლემ, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლ. სარიჩევამ, საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ს. კემენოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სოფლის განყოფილების გამგემ ფ. ფ. მოლოჩკოვმა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. დ. დიეპკოვმა, ლ. დ. კისლოვამ, ა. ე. ზინჩენკომ, ტ. კ. კოშელევამ და სხვებმა.

პ. ს. ჟემჩუჟინა-მოლოტოვამ და ს. ა. კოლესნიკოვამ ყვავილის თაიგულები მიართვეს ქალბატონ კ. ჩერჩილს და ქალბატონ მ. ჯონსონს.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ფ. რობერტსი და მისი მეუღლე, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი ჟ. კატრუ და მისი მეუღლე, დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის უფროსი ადმირალი არჩერი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი ფირლინგერი, ტიტოლდი და დიდი ბრიტანეთის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა.

აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის ალმებით.

ქალბატონ კლ. ჩერჩილის განცხადება

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ქალბატონმა კლემენტინა ჩერჩილმა აეროდრომზე სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტის მიკროფონთან შემდეგი განცხადება გააკეთა:

როცა ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ თქვენს ქვეყანაში მოვედი, ჩვენ ჯერ კიდევ ომის მდგომარეობაში ვიმყოფებოდით გერმანიასთან.

ახლა, როცა მე მივემგზავრები, მიღწეულია ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე და შესანიშნავი გამარჯვება.

მე დიდად ბედნიერი ვიყავი საბჭოთა კავშირში და მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც ასე კეთილი იყო ჩემდამი და ჩემი აქ ყოფნა ასე სასიხარულო გახადა.

მე მსურს მხურვალე მადლობა ვუძღვნა საბჭოთა მთავრობას გულითადი და ტაქტიანი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მე და ჩემს თანამგზავრებს გაგვიწიეს. ჩვენ შესანიშნავად გავატარეთ აქ დრო, და ყველანი მეტად, მეტად კეთილნი იყვნენ ჩვენდამი.

დიდი მადლობა ყველა თქვენგანს.

ქალბატონ კლ. ჩერჩილის დაბრუნება ინგლისში

ლონდონი, 12 მაისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 12 მაისს საბჭოთა კავშირში მგზავრობიდან ლონდონს დაბრუნდა ქალბატონი კლემენტინა ჩერჩილი, მას შეხვდა პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი.

რას გვავალებს გამარჯვება

N ნაწილის წითელარმიული კრება, რომელიც მიეძღვნა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით დიდი სტალინის ბრძანებასა და მიმართვას ხალხისადმი

N ნაწილში შედგა წითელარმიული კრება, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებას ომის დამთავრების შესახებ და მის მიმართვას ხალხისადმი. თავიანთ გამოსვლებში მებრძოლები და მეთაურები გამოხატავდნენ მადლობას წითელი არმიისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი და დიდი ბელადის გამარჯვების მარშლის ამხანაგ სტალინისადმი.

თავიანთ მოკლე სიტყვებში რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები მოუწოდებდნენ მთელ პირად შემადგენლობას კიდევ უფრო აამაღლონ დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი, კიდევ უფრო უკეთ იმუშაონ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი სახელმწიფოს ძლევამოსილების განსამტკიცებლად.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მებრძოლებისა და მეთაურების ცალკეულ გამოსვლებს.

წმიდად დავიცვათ წითელი არმიის ტრადიციები

კაპიტან სიდორაკინის გამოსვლიდან

წითელმა არმიამ ებოროტესი მტერი გაანადგურა. იგი ბრძოლაში დაკაჟდა და განმტკიცდა, კიდევ უფრო ძლიერი გახდა. მებრძოლებმა და მეთაურებმა ისწავლეს ყოველგვარ პირობებში — მთებსა და ვაკეზე, ტყესა და ჭაობებში, ზღვასა და ჰაერში მტრის დამარცხება და მოსპობა.

საბჭოთა მეომრებმა, რომლებიც ასრულებდნენ დიად განმათავისუფლებელ მისიას, მთელ მსოფლიოს უჩვენეს გმირობის, მამაცობისა და თავგანწირულობის [illegible]. ისინი [illegible] ბრძოლებში ეუფლებოდნენ ჯარისკაცურ მეცნიერებას, პოულობდნენ ბრძოლის ახალ ხერხებსა და საშუალებებს, სწავლობდნენ მტრის სტალინურად დამარცხებას. არ არსებობდა ისეთი დაბრკოლება და ციხე-სიმაგრე, რომელთა წინაშეც შედრკებოდნენ წითელი მეომრები.

სტალინური გოლიათები შეუჩერებლად მიერეკებოდნენ მტერს. ლენინგრადის კედლებიდან, მოსკოვის კარიბჭიდან, ვოლგის ნაპირებიდან, კავკასიის თოვლით დაფარული მთებიდან [illegible] რუსული იარაღის დიდება. მეომრებს ასულდგმულებდათ ერთი მიზანი — ბერლინის — ფაშისტური ბუნაგის განადგურება. მებრძოლებმა და მეთაურებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

თავის ხალხის ერთგული შვილები არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს და თვით სიცოცხლესაც კი გამარჯვების მოსაპოვებლად. მათთვის ყველაზე ძვირფასი იყო და არის დიდი სამშობლო. იყვნენ რა სხვის ტერიტორიაზე, მებრძოლები და მეთაურები წმიდად იცავდნენ საბჭოთა მეომრის, საბჭოთა მოქალაქის სახელსა და ღირსებას. მათ ყველას უჩვენეს მაღალი ორგანიზებულობა, ერთსულოვნობა, ჯარისკაცური მეგობრობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა.

მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს გმირობისა და უნარიანობის მაღალი ნიმუშები და მიაღწიეს გამარჯვებისაკენ. მათ გაიმარჯვეს!

ჩვენი ნაწილის მეომრებმა წმიდად უნდა დაიცვან ფრონტელი მეომრების ტრადიციები. გამარჯვებულ მეომრების ტრადიციების წმიდად დაცვა ნიშნავს იყო ისეთი, როგორიც არიან ჩვენი გმირები.

ავამაღლოთ დისციპლინა და ორგანიზებულობა

ლეიტენანტ პასკოტინის გამოსვლიდან

საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა. წითელმა არმიამ მტერი გაანადგურა, მაგრამ ნანატრი გამარჯვება ადვილად როდი მოვიპოვეთ. რამ უზრუნველჰყო ჩვენი გამარჯვება? პირველყოვლისა მაღალმა მორალურმა სულისკვეთებამ, საბრძოლო ოსტატობამ, მეომრების თავდადებამ სამშობლოსათვის, პირველხარისხოვანმა საბრძოლო ტექნიკამ, რომლითაც ჩვენმა ხალხმა შეაიარაღა წითელი არმია. მაგრამ გამარჯვება წარმოუდგენელი იყო რკინისებური სამხედრო დისციპლინის, მაღალი ორგანიზებულობისა და სათანადო წესრიგის გარეშე.

ეს სამი კანონი მნიშვნელოვნად დაეხმარა ჩვენი გამარჯვების საქმეს.

— არც ერთი ნაბიჯი უკან!—ასეთი იყო სამშობლოს ბრძანება. არც ერთი მებრძოლი არ შემდრკალა მტრის მავი ურდოების წინაშე, ჯავშნის წინაშე. 28 გვარდიელი, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ, დაეცნენ გმირთა სიკვდილით, მაგრამ მათ მტერი არ გამოუშვეს საბჭოთა დედაქალაქისაკენ.

მტრის ტერიტორიაზე შეტევაზე გადასული მეომრები ამსხვრევდნენ მტრის თავდაცვის რთულ სისტემას, ისინი წმიდად იცავდნენ რკინისებურ დისციპლინას, ავლენდნენ მაღალ ორგანიზებულობას.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობაზე გადავიდა, დისციპლინა არამც თუ არ უნდა შესუსტდეს, პირიქით, იგი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს. ჩვენ, მეომრები მზად უნდა ვიყოთ შევასრულოთ ყოველგვარი ამოცანა. ამიტომ თითოეულმა მეომარმა უნდა განამტკიცოს წითელი არმიის ძლიერების პირველსაფუძველი — დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი.

პირველი მადლობა გამარჯვების მარშალს

წითელარმიელ ახუნდოვის გამოსვლიდან

ამხანაგო მებრძოლებო! ამხანაგო მეთაურებო! მე მოკლეთ ვიტყვი. წითელარმიული კრების ტრიბუნიდან მინდა პირველი მადლობა მივუძღვნა გამარჯვების მარშალს ამხანაგ სტალინს. მან მიგვიყვანა ფრონტზე გამარჯვებამდე, ახლა იგი მიგვიყვანს ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებამდე. დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მოიშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს.

მე, როგორც ახალგაზრდა მებრძოლი, ფიცს ვდებ ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის წინაშე, რომ გასამკეცებული ენერგიით ვიმუშავებ და სრულყოფილად დავეუფლები სამხედრო მეცნიერებას, წმიდად დავიცავ გმირ დივიზიების ტრადიციებს. მუდამ მაღლა ვატარებ საბჭოთა მეომრის ღირსებას.

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

ჩვენი ძალა ხალხთა სტალინურ მეგობრობაშია

წითელარმიელ კუციშვილის გამოსვლიდან

ჩვენ მტერზე გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ სამშობლოს დასაცავად აღსდგა მთელი საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ხალხი.

მძიმე დღეებში ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ჩვენი ქვეყნის ხალხები.

[illegible] ჰიტლერი ვარაუდობდა, რომ საბჭოთა ადამიანებში განხეთქილებას შეიტანდა და დაარღვევდა საბჭოთა [illegible], მაგრამ იგი ანგარიშში მოტყუვდა. განხეთქილება კი არა, პირიქით, კიდევ უფრო განმტკიცდა ეს ურღვევი მეგობრობა.

სამშობლოს წმიდა დროშების ქვეშ [illegible] რუსები, უკრაინელები, ქართველები, ბელორუსები, სომხები, უზბეკები, აზერბაიჯანელები და სხვ. ხალხები, [illegible] ყველა ისინი იცავდნენ თავიანთ მშობლიურ ქვეყანას.

ვის არ ახსოვს დიადი ბრძოლა მოსკოვისათვის, ლენინგრადისათვის, სტალინგრადისათვის, კავკასიისათვის? ჩვენი [illegible] ვის, მშვენიერი მოსკოვისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ რუსებიც, ქართველებიც, სომხებიც და ბელორუსებიც.

ბევრს ახსოვს, თუ როგორ ვიკავებდით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა უკრაინელი ივანე გუბენკო თავის მეზობლის კავკასიის მთების კალთებზე. როდესაც გერმანელთა ტანკი მისკენ მიიწევდა, სამშობლოს პატრიოტი ივანე გუბენკო, რომელსაც წელზე გრანატები ერტყა, ტანკის ქვეშ შევარდა. მტერი წინ ვერ წაიწია.

ასე თავდადებულად იბრძოდნენ ყველა ეროვნების ადამიანები თავიანთი საყვარელი საბჭოთა სამშობლოსათვის, ასევე ერთსულოვნად [illegible] ერთი იდეა, ჩვენ ყველას ერთნაირად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

დიდება მშობლიურ სტალინს!

წითელარმიული კრება კაპიტან ცუპაევის ბატალიონში. სიტყვას ამბობს კურსანტი ი. ვლასოვი. ფოტო უფრ. ლეიტენანტ ვ. სტოლიაროვისა.

პატიოსნად და კეთილსინდისიერად შევასრულოთ ჩვენი სამსახური

წითელარმიელ ვლასოვის გამოსვლიდან

დიდება გამარჯვების დღეს. გერმანელებს უნდოდათ საბჭოთა ხალხი თავიანთ მონებად გაეხადათ. გერმანელ ფაშისტებს სურდათ ტანკებითა და [illegible], რომელმაც ოქტომბრის რევოლუცია მოახდინა, ისინი ანგარიშში მოტყუვდნენ. მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა სამშობლოს დასაცავად. თითოეული თავის საგუშაგოზე იდგა. ადამიანები ფრონტზე და ზურგში პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ სამსახურს. ჩვენ ცოტა განსაცდელი როდი შეგვხვდა, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ. წითელმა არმიამ მტერი გაანადგურა.

დიდია ჩვენი გამარჯვება. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვაკეთოთ, რომ გამარჯვება განვამტკიცოთ, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება ავამაღლოთ, ომით მიყენებული ჭრილობები მოვიშუშოთ.

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მთელ ხალხს მოუწოდა მშვიდობიანი მშენებლობისათვის, ეს კი ხალხისაგან მოითხოვს მუშაობაში ძალ-ღონის, ენერგიისა და ცოდნის გამოყენებას, ჭრილობების რაც შეიძლება სწრაფად მოშუშებას, ჩვენი დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, ფაბრიკებისა და ქარხნების აღდგენას.

ევროპაში ომი დამთავრდა. მტერმა იარაღი დაჰყარა. მაგრამ, მეომრებო, ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ შეიძლება გულზე ხელების დაკრეფა? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ერთ ადგილზე როდი უნდა დავრჩეთ. ჩვენ უნდა სრულვყოთ ჩვენი საბრძოლო ოსტატობა, განვამტკიცოთ წითელი არმიის ძლიერება.

ნება მომეცით ჩვენი სასწავლო ბატალიონის კურსანტების სახელით დაგარწმუნოთ თქვენ, ჩვენი ნაწილის მებრძოლები ამაში, რომ გაათკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ, ვისწავლით იმ ხერხებსა და საშუალებებს, რითაც ჩვენმა თანამოძმეებმა მტერი დაამარცხეს.

ჩვენი ლოზუნგია — ტექნიკის საფუძვლიანი ცოდნა და მისი უნარიანად გამოყენება. მე მოგიწოდებთ თქვენ პატიოსნად, კეთილსინდისიერად შევასრულოთ სამსახური.

განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება

სერჟანტ შიანის გამოსვლიდან

ამხანაგებო! ომი დამთავრდა. დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. მშვიდობიანი შრომის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყოველმხრივ განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება. ჩვენ არ უნდა დავრჩეთ ერთ ადგილზე. ყოველმა მებრძოლმა დღითი დღე უნდა სრულჰყოს თავისი საბრძოლო ოსტატობა, შეისწავლოს სამამულო ომის გამოცდილება, კიდევ უფრო განამტკიცოს წითელ არმიაში დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი.

მთავარია ადგილი არ ექნეს უდარდელობას, ყოყოჩობას. ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ ჩვენს შორის ერიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თვითდამშვიდებას მიეცნენ, მათ ჰგონიათ—რაკი გერმანია განადგურებულია, შეიძლება მოისვენებათ. ასეთი თვალსაზრისი არასწორი და მავნეა.

ჩვენ მტერი — გერმანული ფაშიზმი პირისპირ ბრძოლაში გავანადგურეთ. მაგრამ ფაშისტური ჯილაგის ნაშთები იმალებიან სოროში, მიწისქვეშ და იქიდან შეეცდებიან ზიანი მიაყენონ ჩვენს მშვიდობიან შრომას.

ამიტომ გამარჯვების მარშალი ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებს ჩვენ, რათა ვიყოთ ფხიზელნი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბოლო მოვუღოთ ფაშისტურ იდეოლოგიას, ბოლო მოვუღოთ ჰიტლერულ ხროვის ნაშთებს. ეს დიდი ამოცანაა.

ახლა, როცა დაიწყო მშვიდობიანი პერიოდი, ჩვენ უნდა განვავრცოთ სამხედრო მეცნიერების შესწავლა, უნდა შევიარაღდეთ მტერზე გამარჯვების სტალინური მეცნიერებით, ლენინურ-სტალინური თეორიით.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ Ი. Ი. ᲛᲔᲩᲜᲘᲙᲝᲕᲘ

(ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

ილია ილიას-ძე მეჩნიკოვის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

მეცნიერების მრავალ მიღწევათა შორის [illegible]

[illegible]

1864 წელს 19 წლის ჭაბუკმა, [illegible]

[illegible]

1870 წელს [illegible]

[illegible]

ჯერ კიდევ 1875 წელს [illegible]

[illegible]



[illegible]

* * *

[illegible]

* * *

[illegible]

ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობაში მეჩნიკოვი ილტვის, როგორც მოწინავე მეცნიერების წარმომადგენელი, როგორც მეცნიერი, რომელიც შეუპოვრად და დაუცხრომლად იბრძოდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

Ნ. ᲡᲘᲛᲐᲨᲙᲝ

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ 10 ᲬᲔᲚᲘ

10 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მიიღო [illegible] ნაგებობა—მოსკოვის მეტროპოლიტენი, როგორც [illegible] უსწრაფესი სახე ტრანსპორტისა. მეტრო მტკიცედ დამკვიდრდა მოსკოველთა ყოფა-ცხოვრებაში. მეტროთი დღიურად სარგებლობს 1,6 მილიონზე მეტი მგზავრი.

[illegible] მეტროს ტრასა [illegible] გაიზარდა. 1935 წელს იგი მხოლოდ 11,4 კილომეტრი სიგრძის ერთი ხაზი, ამჟამად შეიცავს 35,7 კილომეტრი სიგრძის სამი დამოუკიდებელი ხაზი. ათი წლის განმავლობაში მეტროპოლიტენის ხაზებით გაიარა 4.665 ათასმა მატარებელმა და გადაყვანილ იქნა 2,6 მილიარდზე მეტი მგზავრი.

მეტროპოლიტენმა, [illegible] მუშაობამ, გვიჩვენა, რომ იგი არის არა მარტო ყველაზე უფრო მოხერხებული, არამედ ყველაზე უფრო უსაფრთხო ტრანსპორტიც. მრავალმა და მრავალსახეოვანმა ელექტრომექანიკურმა დანადგარებმა ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდა გაიარა.

ომიანობის დროს მეტროპოლიტენი [illegible] იყო გამოყენებული როგორც [illegible]

მეტროპოლიტენის კოლექტივი [illegible] 1944 წელს [illegible]

[illegible]

მეტროპოლიტენის ახალი ხაზი [illegible] სტალინური [illegible] მოსკოვის რეკონსტრუქციის საქმეში. (საქ-დესი).

ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

დედაქალაქის ეკრანებზე გამოშვებულია სრულმეტრაჟიანი ფილმი „საპირველმაისო პარადი მოსკოვში 1945 წელს". იგი გადაიღეს დოკუმენტალური ფილმების ცენტრალური სტუდიის ოპერატორებმა.

ეკრანზე აღბეჭდილია ძლევამოსილი წითელი არმიის საბრძოლო ძალისა და ძლიერების დიადი დემონსტრაცია წითელ მოედანზე 1945 წლის 1 მაისს. კინოოპერატორის ობიექტივმა აღბეჭდა ჩამწკრივებული ჯარების წინ მავზოლეუმის ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების გამოჩენის მომენტი. ფილმში შევიდა სიტყვა [illegible]

დასკვნითი კადრები გვიჩვენებენ მიმავალ ნაკრებ ორკესტრს, რომელიც ასრულებს „დიდების" თემას „ივან სუსანინის" ეპილოგიდან.

ფილმის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით კომპოზიტორებს — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ჩერნეცკის და რაიტმანს. სურათი მონტირებულია რეჟისორების [illegible], [illegible] და [illegible] მიერ.

ᲜᲝᲕᲝᲡᲘᲑᲘᲠᲡᲙᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ამ დღეებში ნოვოსიბირსკში გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრი.

თეატრის გახსნა უდიდეს მოვლენას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუსიკალურ ცხოვრებაში. თეატრის მშენებლობა დამთავრდა ომის დღეებში. თეატრის მონუმენტური, დიდებული შენობა თავისი არქიტექტურით ერთ-ერთი საუკეთესო შენობაა ჩვენს ქვეყანაში. საყურებელ დარბაზში 2.000 ადგილია. თავისი მოცულობით ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი სათეატრო შენობა. (საქ-დესი).

ჩვენი აქტიური სამხკორები



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ლეიტენანტი ნ. ღუმბაშვილი, სერჟანტი ალ. ბაგუა, სერჟანტი გ. მინდიაშვილი და წითელარმიელი ბ. მეშიტელი.

ფეხბურთი

13 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ტევა აღარ იყო. ამ დღეს დაიწყო საბჭოთა კავშირში ყველაზე პოპულარული სპორტული თამაშის — ფეხბურთის სეზონი სსრ კავშირის პირველობაზე.

ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდი: თავისი ტაქტიკური ხელოვნებით ძლიერი ლენინგრადის „დინამოს" და საბრძოლო ტემპერამენტითა და გამარჯვებისათვის ნებისყოფით აღჭურვილი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები.

სრულ 8 საათზე მსაჯი სამენკო (ხარკოვი) იძლევა ნიშანს. მოედანზე გამოსულ „მოწინააღმდეგეებს" მაყურებლები ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოებენ.

დაიწყო თამაში. თბილისელები მათთვის ჩვეული სწრაფი ტემპით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და დაიწყეს ლენინგრადის კარის „ბომბარდირება". მე-15 წუთზე თბილისელმა მარჯვენა შუამარბმა გ. ანთაძემ ბურთი გაიტაცა და პანიუკოვს გადასცა. ეს უკანასკნელი გარღვევაზე გადავიდა და 16 მეტრიდან ძლიერი კუთხური დარტყმით ანგარიში გახსნა. ლენინგრადელებმა შეტევები გააძლიერეს, მაგრამ თბილისის მცველის ფროლოვისა და მეკარე სანაიას ენერგიულმა თამაშმა მათ საშუალება არ მისცა გაეთანაბრებინათ ანგარიში. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ — ანგარიშით 1:0.

მეორე ტაიმი კვლავ თბილისელების შეტევით დაიწყო. მე-4 წუთზე პენალტისაგან მიღებული ბურთით ლოლობერიძემ მარცხენადან მოუარა ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანს და ბურთი პანიუკოვს გადასცა. პანიუკოვმა კი 20 მეტრის მანძილიდან ზუსტი დარტყმით მეორეჯერ შეარხია ლენინგრადელთა ბადე. ამის შემდეგ თამაშის ინიციატივა ლენინგრადელების ხელში გადავიდა, რასაც ისინი თამაშის ბოლომდე ინარჩუნებდნენ. სტუმრებმა ვერ შესძლეს თბილისელთა კარებში ვერც ერთი ბურთის გატანა. ამრიგად პირველი შეხვედრა, ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერეს გუნდს შორის, დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით — 2:0.

ეს არის თბილისელთა პირველი ორი ქულა, პირველი გამარჯვება.

* * *

ამავე დღეს მოსკოვში, კიევსა და სტალინგრადში ჩატარდა პირველი კალენდარული შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონ მოსკოვის „დინამოსა" და წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

კიევში ჩატარებული შეხვედრაც ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივს" შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მოსკოვის „სპარტაკისა" და სტალინგრადის „ტრაქტორის" შეხვედრა სტალინგრადში.

* * *

14 მაისს თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა" და მინსკის „დინამოს" გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

საზღვარგარეთ

ჰელსინკში ჩავიდა პეტსამოს (პეჩენგის) რაიონში საზღვრის დემარკაციის საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისიის საბჭოთა დელეგაცია

ჰელსინკი, 13 მაისი. ([illegible]). დღეს ჰელსინკში ჩამოვიდა პეტსამოს (პეჩენგის) ოლქის ტერიტორიაზე სსრ კავშირისა და ფინეთის შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისიის საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც შედიან დელეგაციის თავმჯდომარე მინისტრი ა. მ. ალექსანდროვი და დელეგაციის წევრები პოლკოვნიკი მ. ა. [illegible], პოლკოვნიკი პ. ს. [illegible] და ვიცე-პოლკოვნიკი ი. მ. [illegible].

ფინეთში საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ ფინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის პოლიტიკური მრჩევლის თანაშემწეები [illegible] და [illegible] და შერეული კომისიის ფინეთის დელეგაციის წევრები პოლკოვნიკი ი. კ. [illegible] და დოქტორი პ. კალაია.

აღმოჩენილია კიტლერელების მიერ ნაძარცვ ფასეულობათა დიდი კოლექციები

ნიუ-იორკი, 13 მაისი. ([illegible]). როგორც იუნაიტედ პრესის საინფორმაციო იუწყება, ამერიკის მე-7 არმიის ოფიცრებმა აღმოაჩინეს ორი დიდი კოლექცია ხელოვნების ნაწარმოებებისა, რომლებიც ჰიტლერელებმა მოიპარეს საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში. ერთ-ერთი კოლექცია აღმოჩენილ იქნა ავსტრიის ალპების გვირაბში, მეორე — ბავარიის ერთ-ერთ კოშკში. მესამე კოლექცია აღმოჩენილ იქნა მემინგენის (ბავარიაში) ახლო მდებარე მონასტერში. ამ კოლექციაში იყო კიევის მუზეუმიდან გატაცებული დიდძალი ფასეულობანი. ბავარიაში აღმოჩენილია საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთში გატაცებული 300 მხატვრული ნაწარმოები.

ტყვედ ჩაიყვანეს გერმანელი გენერალი

ლონდონი, 14 მაისი. ([illegible]). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა გუშინ ტყვედ წაიყვანეს გერმანელი გენერალი გუდერიანი. გერმანიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი.

ოთხშაბათი 16 მაისი

1917—პეტროგრადში გაიხსნა გლეხთა დეპუტატების სრულიად-რუსეთის I ყრილობა.

1649—ინგლისში დამყარდა რესპუბლიკური წყობილება (ინგლისში რესპუბლიკური წყობილება არსებობდა 1660 წლამდე).

ნარკვევი

„ქალწულის კოშკი"

ბაქოში არის ძველი „ქალწულის კოშკი", რომლის შესახებ საინტერესო ლეგენდა არსებობს. ძველად ბაქოს „ბახტები" უწოდებდნენ, რაც ნიშნავს „ქარის ქვეყანას". ქალაქს მართავდა ძლიერი და საშინელი ყაენი. მას მოეწონა ერთი ქალიშვილი და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ ქალიშვილს ჰყვარებია საქმრო, რომელიც მას ძლიერ უყვარდა.

ქალიშვილის მუდმივ-მიდგომის მიუხედავად, ყაენმა ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე. მაშინ ქალიშვილმა განაცხადა, რომ ცოლად გაჰყვება ყაენს, თუ ის ზღვის ნაპირზე ქალიშვილისათვის ააგებს მაღალ კოშკს. ყაენმა ქალიშვილის სურვილი შეასრულა. ყაენის ბრძანებით დიდებული კოშკი ააგეს.

მშენებლობის დამთავრების დღეს დანიშნეს ქორწილი, მაგრამ ამაყი ქალიშვილი თავისი პირველი შეყვარებულის ერთგული დარჩა. ის ჩაიკეტა კოშკში და როდესაც სასტუმრო ყაენმა ქორწილების წინ მას კარებზე დაუკაკუნა, ქალიშვილმა გაიღო კარი და ყაენის თვალწინ კოშკიდან ზღვაში გადავარდა.

ამ დროიდან უბედური ქალწული ქალის ხსოვნის პატივსაცემად ამ კოშკს „ქალწულის კოშკს" უწოდებენ.

იშვიათი აღმოჩენა

წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში ახალი სარდაფისათვის ნიადაგის გათხრისას 14 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა მორეული ხანის იშვიათი ცხოველის მარტორქის ჩონჩხი.

ჩონჩხის ზოგიერთი ნაწილი მოთავსებულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. საინტერესოა მისი ქვედა ყბა დიდი კბილებით. მიუხედავად იმისა, რომ მარტორქის ჩონჩხი ჩამარხული იყო მიწაში რამდენიმე ათეული ათასი წლის წინათ, ყბა და კბილები კარგადაა შენახული.

მარტორქის ჩონჩხის პოვნა საქართველოში პირველი შემთხვევაა.

ბიბლიოგრაფია

ნოველები ზღვის ფონზე*

[illegible] მაღალი პალმებით, ცისფერი [illegible] და [illegible] ზღვის სანაპიროები, [illegible] [illegible]

სამშობლო ომის მრისხანე დღეებში [illegible] [illegible]

ანდრო ლომიძემ რამდენიმე წელი გაატარა [illegible]

მეზღვაურთა ცხოვრების საფუძვლიანმა შესწავლამ შესაძლებლობა მისცა ან. ლომიძეს თავის ნოველებში მხატვრულად ასახა ზღვა და მეზღვაურთა ცხოვრება.

სამშობლო ომს ეძღვნება ან. ლომიძის ნოველები „თამარი", „მამა", „მონადირე" და „ახალი გრძნობა". მათში მოცემულია ის დიდი პატრიოტიზმი და თავდადება, რაც ფრიად დამახასიათებელია ჩვენი საბჭოთა ეპოქის ადამიანებისათვის. საინტერესოა ნოველა „თამარი", [illegible] [illegible]

ან. ლომიძეს ახასიათებს მხატვრული დეტალის ოსტატური გამოყენება. საინტერესოა ამ მხრივ მოთხრობა „ახალი გრძნობა". [illegible]

[illegible] „სიცოცხლე" [illegible]

ნოველა „ცეცხლოვანში" ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ამ წიგნში. [illegible]

[illegible] თითქმის უმახვილო რუსი მწერლის ა. გრინის მსგავს [illegible] მოთხრობას, რომელიც გასულ წელს გამოქვეყნდა. [illegible] ან. ლომიძის ნოველა დაწერილია 1940 წელს.

[illegible] „მარზა", „[illegible]" [illegible]

— არა, არ უნდა [illegible] [illegible] „მარზას".

ან. ლომიძის პროზა ძლიერ ლაკონიურია. [illegible]

[illegible]

ან. ლომიძის ახალი ნოველების წიგნი [illegible] ქართულ ლიტერატურაში [illegible] [illegible] ღირსშესანიშნავი დოკუმენტები.

დ. შამათავა

*) ან. ლომიძე — „ახალი გრძნობა" — გამომც. „საბჭოთა მწერალი", 1944 წ.

პ/მგ. რედაქტორი **ი. ლაბრაშვილი**
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე **მ. დარასელი**

გ—115441 რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175 С